

თამილა მგალობლიშვილი

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

## ჯვრის მონასტერი

ჯვრის მონასტერი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რელიგიური და კულტურულ-სამწიგნობრო ცენტრია, რომელიც ოდესმე დაუარსებიათ ქართველებს უცხოეთში. მიუხედავად ამისა, მისი შექმნის ისტორია დღემდე ბინდით არის მოცული.

ბერძენთა აზრით, ეს მონასტერი ადრე-ბიზანტიურ პერიოდში ბერძენთა მიერ არის აშენებული და მხოლოდ XI ს-ში განაახლა იგი ქართველმა ბერმა პროხორე შავშელმა.

ქართული ტრადიციით ამ მონასტრის ადგილი ჯერ კიდევ მირიან მეფემ დაიმკვიდრა IV ს-ში, ხოლო შემდეგ კი აქვე ვახტანგ გორგასალმა ააშენა ტაძარი. საუკუნეების განმავლობაში ეს ტაძარი ისე განადგურდა, რომ XI ს-ის დასაწყისში ამ ადგილას პროხორე შავშელმა უკვე ახალი მონასტერი ააშენა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ტრადიცია ბიზანტიურისაგან სრულიად განსხვავებულია, ერთ საკითხში ისინი მაინც თანხედებიან ერთმანეთს. ორივე მათგანის თანახმად, წმინდა ჯვრის მონასტერი აშენდა იმ უწმინდეს ადგილზე, სადაც აღმოცენდა საკრალური ხე, რომლისგანაც გამოითალა ჯვარი, რომელზეც მაცხოვარი ჯვარს აცვეს.

ამ გადმოცემის უძველესი დამოწმება გვხვდება ჯვრის მონასტრის აღმშენებლისა და პირველი წინამძღვრის პროხორე შავშელის ერთ მინაწერში, რომელიც შემონახულია ჯვრის მონასტრის ქართული კოლექციის 145-ე ხელნაწერში (წმ. იოანე ოქროპირის სახარების თარგმანება):

"ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი-პროხორე, სახელად ოდენ მღუდელი, ხოლო საქმით არა ღირსი, რათა შემძლებელ ვიქმენ უძღურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად წმიდისა ამას ცხოველმყოფელისა ჯუარისა ადგილსა"... ამავე ხელნაწერში აღნიშნულია, რომ ხსენებული ნუსხა გადაწერილია ჯვრის მონასტრისათვის 1038 წელს, საბას მონასტერში.

მოგვიანებით ჯვრის მონასტრის ადგილისა და წმ. ჯვრის შესახებ გადმოცემები გვხვდება ტიმოთე გაბაშვილის "მიმოსლვაში" (XVIII ს.),

თეიმურაზ ბაგრატიონის ისტორიაში (XVIII ს.), გიორგი ავალიშვილისა (XIX ს.) და პეტრე კონჭოშვილის (XX ს.) მოგზაურობის ტექსტებში.

ზემოთ ჩამოთვლილ ავტორებთან ამ გადმოცემათა ტექსტები რედაქციულად, ფაქტობრივად, ერთმანეთს ემთხვევა, ამის გამო, მოვიტან მხოლოდ ტიმოთე გაბაშვილისეულ ტექსტს: "რამეთუ ესე არს ადგილი იგი, რამეთუ ლოთ სამი ხე – სარო, ფიჭვი და ნაძვი – დანერგა სასწაულად, უკუეთუ მიეტოს ცოდვა იგი, და სამივე ერთ ხე დიდ აღმოვდა. ამისა შემდგომად მოსტრა იგი სოლომონ შენებასა ტაძრისასა, არამედ უქმად გამოჩნდა საკმარება მისი მუნ და მდებარე იყო საჯდომად კაცთა გარე, ხოლო ჯვარცმასა უფლისასა განგებითა ზენათათა მას ზედა აცვეს უფალი. რამეთუ მონაკვეთი ხისა მის ძირი ქვეშე წმიდისა ტრაპეზისა დღესამომდე ჩანს". (ილ. 1, 2, 3).

იმის გამო, რომ ტიმოთე გაბაშვილის მიერ დაფიქსირებულ ტრადიციას და პროხორე



1. პატრიარქი აბრაამი და წმ. ლოტი. წმ. ჯვრის მონასტრის ეკლესიაში დაცული XVIII ს-ის ხატი. (ფოტო დ. ცხადაძის)



2. წმ. ლოტის მიერ საკრალური ხის მორწყვა. წმ. ჯვრის მონასტრის ეკლესიაში დაცული XVIII ს-ის ხატი. (ფოტო დ. ცხადაძის)

შავშელთან დამოწმებულ წმ. ჯვრის ხის აღმოცენების ადგილის ლოკალიზაციას, ჩემი ვარაუდით, გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თვით ჯვრის მონასტრის ისტორიის საკვლევად, თავდაპირველად შევეცადე ამ ქართული ტრადიციის სათავეების მოძიებას. თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ ადრინდელ ქართულ და უცხოურ წყაროებში (მხედველობაში მაქვს პროხორემდელი პერიოდი, ე. ი. XI ს-ის წინარე ხანა), ასეთი ტრადიცია არსად დასტურდება.

ჯვრის მონასტრის შექმნის შესახებ არსებულ გადმოცემათა ძიებას პირველ ადამიანთან – ადამთან და მის სახელთან დაკავშირებულ თქმულებებთან მივყავართ.

ისინი თემატურად ასე შეიძლება დავაჯგუფოთ:

1. ადამის ნეშტის გოლგოთაზე დაფლვის ისტორია

2. ადამის თავიდან სამი ხის ერთ ხედ აღმოცენების ისტორია.

უთუოდ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წმ. ჯვრის ხესთან დაკავშირებით ყველა წერილობით წყაროში, დაწყებული 160 წლიდან (ტერტულიანე), დასახელებულია მხოლოდ ადამი და გოლგოთა და თითოეული მათგანი ადამის მონანიების სიუჟეტს წარმოადგენს. არსად ჩანს ბიბლიური ლოტის

ეპიზოდი. ეს ტრადიცია გრძელდება XI ს-მდე. XI ს-ის დასაწყისიდან წმ. ჯვრის ხის აღმოცენების ადგილი გოლგოთა და მასთან დაკავშირებული ადამის მონანიების ეპიზოდი იცვლება. გოლგოთას ცვლის ჯვრის მონასტრის ადგილი, ხოლო ადამის მონანიების სიუჟეტი იცვლება ლოტის მონანიებით. იქმნება ახალი ტრადიცია, რომელიც პირველად პროხორე შავშელის მინაწერში ფიქსირდება 1038 წელს, ხოლო შემდეგ კი სხვადასხვა სახით XII ს-დან პილიგრიმთა ჩანაწერებში და სხვადასხვა ხასიათის ბერძნულ და სხვაენოვან ხელნაწერებში ვრცელდება. მათგან უადრესია სკანდინავიელი მოგზაურის ზევულფის (1102-1103 წწ.) და სლავი მოგზაურის დანიელის (1107 წ.) ცნობები, სადაც ისინი ასახელებენ წმ. ჯვრის ხის აღმოცენების ადგილს უკვე არა გოლგოთაზე, არამედ იქ, სადაც ქართველთა ჯვრის მონასტერი იქნა აშენებული. რაც შეეხება ლოტის მონანიების ტექსტს, ისიც მხოლოდ XII ს-დან ჩნდება და შემონახულია როგორც ბერძნულ, ისე სლავურ და სხვა ტრადიციებში.

აქვე უთუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ XI ს-მდე არც ერთ წყაროში, სადაც მოცემული გვაქვს ცნობები იერუსალიმსა და მის შემოგარენში აშენებული მონასტრების



3. საკრალური ხის მოჭრა. წმ. ჯვრის მონასტრის ეკლესიაში დაცული XVIII ს-ის ხატი. (ფოტო დ. ცხადაძის)



4. რეგიონი იერიქოსა და მადაბას შორის – ისტორიული პალესტინის ნაწილი (მ. პიჩირილოს მიხედვით)

შესახებ, არსად დასტურდება ჯვრის მონასტრის სახელი. უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად იმოწმებენ ჯვრის მონასტრის ბერძნული კოლექციის VI ს-ის ერთ ხელნაწერს, რომელშიც თითქოსდა იერუსალიმსა და მის შემოგარენში აშენებულ მონასტრებს შორის დასახელებულია ჯვრის მონასტერი. ჯვრის მონასტრის კოლექციებზე მუშაობისას და ასევე სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხასიათის კატალოგების შემოწმების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ასეთი ადრეული ბერძნული ხელნაწერი ჯვრის მონასტერში არა მარტო დღეს, არამედ არასდროს ყოფილა. ის არ დასტურდება არც იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს სხვა კოლექციებში (აქვე უნდა დავძინო, რომ ასეთი ადრეული ბიზანტიური ხელნაწერები საერთოდ თითზე ჩამოსათვლელია).

ყოველივე ზემოაღნიშნულმა მაფიქრებინა, რომ ჯვრის მონასტერი (ამ სახელით) უნდა აშენებულიყო XI ს-ის დასაწყისში, პროხორე შავშელის მიერ, რასაც იგი თავად ადასტურებს თავის არა მარტო 1038 წლის მინაწერში, არამედ შედარებით მოგვიანო ხანის მინაწერებშიც. ამ ფაქტს ასევე ადასტურებს მისი "ცხორების" ტექსტიც. შენდება მონასტერი, იქმნება ახალი ტრადიცია, რის საფუძველზეც მონასტრის აშენების ადგილი ხდება უწმინდესი ადგილი მთელს წმ. მიწაზე.

აქვე ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ როგორ ხდება ახალი ტრადიციის გაჩენა და ამის საფუძველზე წმ. ადგილის გადაადგილება გოლგოთიდან ჯვრის მონასტრის ადგილზე.

ამასთან დაკავშირებით ვფიქრობდი, რომ წმ. მიწაზე არაბთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად უნდა მომხდარიყო პალესტინური

ელემენტის წინ წამოწევა. წმ. ჯვრის ხესთან დაკავშირებულ ტრადიციაში ადამის ნაცვლად ბიბლიური ლოტის ფიგურის გამოჩენაც, ვფიქრობდი, ამის დასტური უნდა ყოფილიყო. კარგად არის ცნობილი, რომ წმ. მიწის ხალხურ გადმოცემებში ქრისტიან და არაქრისტიან პალესტინელთა შორის ლოტი დიდი პატივით სარგებლობდა. ამ ფაქტს საფუძველად ძველი და ახალი აღთქმის წიგნები უდევს (დაბადება, წიგნი სიბრძნისა და წმ. პეტრეს მეორე ეპისტოლე), სადაც ლოტი ნახსენებია როგორც "მართალი" და ხაზი ესმება მის განსაკუთრებულ სტუმართმოყვარეობას.



5. წმ. ლოტის ეკლესია მადაბას მოზაიკურ რუკაზე (მ. პიჩირილოსა და ე. ალიატას მიხედვით)

წმ. წერილის ასეთი დამოკიდებულება ლოტისადმი სავსებით მისაღები გახდა უძველესი ეკლესიის ისეთი მამებისათვის, როგორებიც იყვნენ ტერტილიანე, ავგუსტინე, წმ. ამბროსი, წმ. იოანე ოქროპირი და სხვანი. მათ აღიარეს ლოტის ზედწოდება "მართალი" და თანაც ისინი სრულებითაც არ ერიდებოდნენ მისთვის წმინდანი ეწოდებინათ. წმ. წერილისა და ეკლესიის მამების ასეთი ერთსულოვანი აღიარება, რაღა თქმა უნდა, შემდგომ აისახა ლოტისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში და მის თაყვანისცემაში, რაც შემოვიწინა როგორც წერილობითმა, ასევე ზეპირმა გადმოცემებმა. ამის ნათელი დადასტურებაა იორდანის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი წმ. ლოტისადმი მიძღვნილი ეკლესიები თავისი წარწერებით. აქვე უთუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლოტი იორდანის ბიბლიურ მფარველადაც არის აღიარებული. (ილ. 4)

აქ, მადაბასა და ნებოს მთის მახლობლად (ნებოს ქალაქი) გათხრილ იქნა ლოტისადმი მიძღვნილი ეკლესიები.

მადაბას ბერძენ მართლმადიდებელთა ეკლესიაში 1897 წელს აღმოჩენილ იქნა მადაბას ცნობილი მოზაიკური რუკა, სადაც შემონახულია მითითება ბიბლიური ლოტის წმ. ადგილის შესახებ, ქალაქ სეგორის მახლობლად (ილ. 5). ეს სახელწოდება ამ ქალაქის ბიბლიური დასახელებაა, მისი ბიზანტიური სახელწოდებაა ზუურა, არაბული კი – ზოგჰარი (ილ. 6).

ნებოს მთის წმ. ლოტისა და წმ. პროკოფის ეკლესიაში სამი ბერძნული წარწერაა აღმოჩენილი, რომელთაგან ორში წმ. ლოტია მოხსენებული (ილ. 7).

პირველი წარწერა: (ილ. 8)

"ეს წმ. ადგილი აგებულ იქნა ეპისკოპოს იოანეს დროს და დასრულდა ნოემბრის თვეში, მეექვსე ინდიქტიონს..."



6. წმ. ლოტის ბაზილიკის ხედი ეინ აბატის მონასტერში (იორდანია). (იხ. The Madaba Map, p. 207)



7. წმ. ლოტისა და წმ. პროკოფის ეკლესიის მოზაიკის იატაკის ხედი (იორდანია). (მ. პიხირილოს მიხედვით).

წმ. ლოტისა და წმ. პროკოფის ღმერთო, შეიწყალე კომეტისას შვილები, ძმები – ელია და სტეფანე...

წმ. მარტვილთა ღმერთო, შეიწყალე სერგი და მისი ვაჟი პროკოფი. შეიწყალე რაბათა ანასტასიას ქალიშვილი და იოანე ანასტასიუსის ვაჟი და მათი მოძმენი, უფალმა იცის მათი სახელები."

მეორე წარწერა: "წმიდაო ლოტ, მიიღე შენი მხევლების: რომის, პორფირიასა და მარიამის ლოცვები."

ლოტის კულტთან დაკავშირებული ეს მოწმობები V–VI სს-ით თარიღდება. შემდეგ ეს ტრადიცია ნელ-ნელა ფერმკრთალდება, თუმცა ლოტის სახელთან დაკავშირებული ტოპონიმები ჯერ კიდევ მრავლად არის შემონახული ისტორიული პალესტინის ტერიტორიაზე.

აქვე უთუოდ მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ წმ. ლოტის ხსენება შემონახულია ასევე უძველეს ქართულ ლექციონარებშიც, რომლებიც V–VII სს-ის იერუსალიმური საღვთისმსახურო პრაქტიკის ამსახველი ლიტურგიკული ძეგლებია. მოგვიანებით კი, XI ს-დან ლოტის კულტი მტკიცედ უკავშირდება ჯვრის მონასტრის შექმნის ისტორიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, წმ. მიწაზე ჩვენს ექსპედიციამდე (2001–2002 წწ.) ჯვრის მონასტრის ადგილთან დაკავშირებით მქონდა გარკვეული ვარაუდი. როგორც უკვე აღინიშნა, ვვარაუდობდი, რომ პალესტინური



8. კტიტორული წარწერა წმ. ლოტისა და წმ. პროკოვის ეკლესიაში (მ. პინირილოს მიხედვით)

ტრადიციის წინ წამოწევის შედეგად უნდა მომხდარიყო წმ. ჯვრის ხის აღმოცენების ადგილის "გადანაცვლება" წმ. გოლგოთიდან ჯვრის მონასტრისაკენ. წმ. ადგილების ჩანაცვლებისა თუ გადაადგილების ფაქტები, თავისთავად, გამონაკლისს არ წარმოადგენს ისტორიული პალესტინისათვის. მაგრამ ამ ტრადიციას, როგორც ჩანს, არა მარტო იცნობდნენ წმ. მიწაზე მცხოვრები ჩვენი



9. წმ. ჯვრის მონასტრის ხედი იერუსალიმში. (ფოტო დ. ცხადაძის)

წინაპრები, არამედ შესანიშნავად იყენებდნენ მას. ჩემი ფიქრით, სწორედ ეს ტრადიცია გამოიყენეს მათ წმ. ჯვრის მონასტრის აშენებისას, რათა დაუფლებოდნენ ერთ-ერთ უწმინდეს ადგილს წმ. მიწაზე. მაგრამ ამისათვის მათ, რაღა თქმა უნდა, გარკვეული საფუძველი უნდა ჰქონოდათ.

მაშ რა იყო ეს საფუძველი?

ჩვენი ექსპედიციის იერუსალიმში მუშაობის დროს, სრულიად შემთხვევით წავაწყდი მეტად საინტერესო ინფორმაციას. ეს ინფორმაცია ეკუთვნის ვინმე დოქტ. ა. შმიდტს, რომელიც

მისი წერილის თანახმად 1948 წელს ცხოვრობდა იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში. ამ პერიოდში პალესტინაში არსებული მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ფრანცისკელი მეცნიერი მამა სილვესტერ სელერი ვერ ახერხებს იერუსალიმში ჩასვლას და მას ჯვრის მონასტრის შესახებ ცნობებს სწორედ იმ დროს იქ მცხოვრები დოქტ. ა. შმიდტი აწვდის. დოქტ. ა. შმიდტის ცნობით, ჯვრის მონასტრის ეზოში მდებარეობდა წმ. ლოტის სახელთან დაკავშირებული მღვიმე, რომელიც ერთ დროს სამლოცველოდაც გამოიყენებოდა. მღვიმე მიწის ზედაპირიდან 10 საფეხურის სიღრმეზე იყო და იმ დროისათვის ზემოდან ქვებით იყო ამოქოლილი. როგორც ჩანს, ეს მღვიმის სამლოცველოც მადაბასა და ნებოს წმ. ლოტისადმი მიძღვნილი ეკლესიების დარად, სავარაუდოდ, V-VI სს-ით შეიძლება დათარიღდეს. (ილ. 9)

ძალზე უცნაურია, რომ ეს ინფორმაცია სავსებით უცნობია არა მარტო წმ. ჯვრის მონასტრის ისტორიაზე მომუშავე სპეციალისტებისათვის, არამედ იმ არქეოლოგებისათვისაც, რომლებმაც ამ მონასტერში რამდენიმეჯერ აწარმოეს არქეოლოგიური გათხრები. დოქტ. ა. შმიდტის წერილში დადასტურებული ეს ინფორმაცია ძალზე მნიშვნელოვანია ჯვრის მონასტრის ისტორიის საკვლევად, განსაკუთრებით კი, ამ ადგილზე არსებული პროხორემდელი პერიოდის ფენის რაობისა თუ დროის დასადგენად.

ვიმედოვნებ, ქართველ მეცნიერებს მომავალში საშუალება მოგვეცემა ყოველგვარი პრობლემების გარეშე ვიმუშავოთ ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე, წმ. ლოტის მღვიმის არქეოლოგიური კვლევა კი უფრო მეტ სინათლეს მოჰფენს ჯვრის მონასტრის შექმნის ისტორიას.